

საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის პროექტზე გამართული საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს თანახმად, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ციკლი წარმოადგენს ინკლუზიურ პროცესს და გულისხმობს თითოეულ ეტაპზე დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას, რაც პოლიტიკის დოკუმენტების ლეგიტიმურობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების რეფორმასთან მიმართებით მათი ინტერესისა და გავლენის შესაბამისად.

სტრატეგიის პროექტის მომზადების პროცესში მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი საჯარო უწყებებს შორის კოორდინაცია, პროცესის გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი და მასთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ და „საჯარო კონსულტაციების ინსტრუქციის“ შესაბამისად წარიმართა.

საჯარო კონსულტაციების დროს დაცული იქნა მოქნილობა, შესაბამისობა, გამჭვირვალობა, სიცხადე, დროულობა, ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა, ამასთან, მაკოორდინირებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყო უკუკავშირი და საჯარო ანგარიშგება.

საჯარო კონსულტაციები განხორციელდა ტრანზაქციული და ტრანსფორმირების მეთოდის გამოყენებით, რომლის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა როგორც მხარეების შეხედულებების, ახალი იდეების, მტკიცებულებებისა და მონაცემების შეგროვება, ასევე, გაიმართა მსჯელობები, დისკუსია და მოხდა საკითხების დეტალური განხილვა.

პოლიტიკის დოკუმენტის ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა შესაბამისი ექსპერტიზის მქონე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებსა და რეკომენდაციებს. ძირითად დაინტერესებულ მხარეებს წარედგინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული დოკუმენტი სახელმწიფო კორპორაციების რეფორმის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესახებ და ასევე, სახელმწიფო საწარმოების კუთხით არსებული სიტუაციის შესწავლის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ინიცირებული ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები (5 პრიორიტეტული მიმართულება). სამუშაო ჯგუფის მიერ სიტუაციის ანალიზის ეტაპზე გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები სრულ თანხვედრაში იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

(OECD)-ს მიერ შემუშავებულ სახელმწიფო საწარმოების ფლობისა და მართვის რეკომენდაციებთან.

ამის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავდა ლოგიკური ჩარჩო.

სტრატეგიის პროექტი ელექტრონულად გადაეგზავნათ დაინტერესებულ მხარეებს თავიანთი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოსადგენად.

სტრატეგიის პროექტი განსახილველად გადაეგზავნათ შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს:

- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტები და სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სსიპ-ები
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტები
- სს საქართველოს რკინიგზა
- სს საპარტნიორო ფონდი
- სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
- შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
- სხვა სახელმწიფო კორპორაციები

სტრატეგიის პროექტზე შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების შემდეგ მოხდა სტრატეგიის პროექტის გადამუშავება და განახლებული ვარიანტი ხელახლა გადაეგზავნათ დაინტერესებულ მხარეებს საბოლოო შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოსადგენად.

სტრატეგიის პროექტზე შენიშვნების წარმოდგენის გარდა სიღრმისეული ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახით ჩატარდა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- მსოფლიო ბანკი (WB)
- ენერგეტიკული გაერთიანება (Energy Community)
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტები
- სს საპარტნიორო ფონდი

მთლიანობაში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა (5 ფიზიკურად, 7 ონლაინ, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიასთან და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

დაინტერესებულ მხარეებთან განხილვების შემდგომ განხორციელდა საჯარო კონსულტაციები. სტრატეგიის პროექტი განთავსებულ იყო როგორც ფინანსთა სამინისტროს,

ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდებზე და ფართო აუდიტორიას ქონდა შესაძლებლობა მოეწოდებინა თავიანთი შენიშვნები. ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიის საჯაროდ გამოქვეყნების და საჯარო კონსულტაციების შესახებ მიეწოდა მედიასაც და ტელეკომპანია „ფორმულამ“ მოამზადა ვრცელი სიუჟეტი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების და სამიზნე ინდიკატორების შესახებ. სიუჟეტში აღნიშნულ იქნა რომ სტრატეგია და მისი თანმდევი დანართები საჯარო იყო სამინისტროს ვებ-გვერდზე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მაკოორდინირებელი უწყების მიერ მითითებულ ვადაში, სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებული კომენტარები, რეკომენდაციები და წინადადებები წარედგინათ წერილობითი ფორმით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, საჯარო კონსულტაციების განაცხადში მითითებულ ელ. ფოსტაზე, შენიშვნების მოსაწოდებლად განსაზღვრული დრო წარმოადგენდა ერთ კვირას. გარდა ამისა, სტრატეგიასთან დაკავშირებულ საჯარო განხილვებზე ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით მიეწოდათ ინვესტორთა საბჭოს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, კვლევით ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. კომენტარები და მოსაზრებები სტრატეგიაზე მოწოდებულ იქნა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ.

გარდა ელექტრონული ფორმით შენიშვნების გამოგზავნისა, ფართო აუდიტორიას ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო საჯარო განხილვებში, რომელიც ჩატარდა ონლაინ ფორმატში მიმდინარე წლის 25 ნოემბერს (11 საათზე google meet პლატფორმის საშუალებით), რომელსაც დაესწრო 20-ზე მეტი ადამიანი. ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების შესახებ საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდებზე განთავსებულ იქნა 5 სამუშაო დღით ადრე სარეგისტრაციო ფორმის ბმულთან ერთად. განხილვებზე დასასწრებად რეგისტრაცია გაიარეს და შეხვედრას დაესწრნენ შემდეგი ინსტიტუციების წარმომადგენლები: ინვესტორთა საბჭოს სამდივნო; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური; მსოფლიო ბანკი; გალტ ენდ თაგარტი და დამოუკიდებელ დირექტორთა ასოციაცია. მაკოორდინირებელმა უწყებამ უზრუნველყო განხილვის პროცესში გაჟღერებული კომენტარებისა და მოსაზრებების ჩანიშვნა და შეგროვება. კომენტარებსა და შენიშვნებზე პასუხები საჯარო განხილვების პროცესშივე იქნა გაცემული მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან.

მათგან მიღებული რეკომენდაციები და მოსაზრებები გაანალიზდა და დეტალურად იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და თითოეულ მათგანზე მომზადდა დასაბუთებული პასუხი ავტორი ორგანიზაციის შემოთავაზების გათვალისწინების, ნაწილობრივ გათვალისწინების ან არ გათვალისწინების შესახებ.

კომენტარების გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა დამაზუსტებელ შეკითხვებს, ასეთ შეკითხვებზე გაკეთდა შესაბამისი განმარტებები როგორც წერილობით (მიეწოდათ

ელექტრონულ ფოსტაზე), ასევე საჯარო განხილვების პროცესში, გარკვეული ნაწილი კი წარმოადგენდა ისეთ კომენტარებს, რომელთა განხილვა რელევანტურია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პროცესში.

მთლიანობაში წარმოდგენილ იქნა 30-მდე ისეთი შენიშვნა და კომენტარი, რომელთა განხილვაც რელევანტურია სტრატეგიის შემუშავების პროცესში.


ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების/კომენტარების განხილვის შედეგების და სტრატეგიაში გათვალისწინების საკითხის ობიექტურად შეფასების მიზნით, მომზადდა შესაბამისი სტატუსების მინიჭების კრიტერიუმები:

სტატუსი	სტატუსის მინიჭების კრიტერიუმი
გათვალისწინებულია	წარმოდგენილი რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიაში ასახულია იმ ფორმით და შინაარსით, რომელიც პარტნიორმა ორგანიზაციამ წარმოადგინა.
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	<ul style="list-style-type: none"> ● წარმოდგენილი რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე ან მისი გავლენით გარკვეული ცვლილებები შევიდა სტრატეგიის ტექსტში, თუმცა არა ზუსტად ისეთი ფორმულირებით, როგორსაც პარტნიორი ორგანიზაცია გვთავაზობდა ● წარმოდგენილი რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიის ტექსტში არ ასახულა, თუმცა სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული
არ არის გათვალისწინებული	წარმოდგენილი რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე სტრატეგიის ტექსტში (მათ შორის, არც ლოგიკურ ჩარჩოში და არც სამოქმედო გეგმაში) ცვლილება ან შესწორება არ განხორციელებულა

მოსაზრებებისა და რეკომენდაციების დიდი ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული სტრატეგიის პროექტში.

პარტნიორ ორგანიზაციებთან სტრატეგიის საბოლოო პროექტზე გამართული კონსულტაციების შედეგები რაოდენობრივად და გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები



სტრატეგიაში არ იქნა გათვალისწინებული კომენტარები: დუალისტური მოდელის ფუნქციონირების აღწერის; სახელმწიფოსა და სახელმწიფო კორპორაციებს შორის საჯარო მომსახურების ვალდებულების კონტრაქტის მახასიათებლების განსაზღვრის; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის და გათავისუფლების წესის სტრატეგიაში ასახვის შესახებ, რამდენადაც აღნიშნული საკითხები არის მეტად სპეციფიკური და მათი ზუსტი განსაზღვრა უნდა მოხდეს საჯარო კორპორაციების ჩარჩო კანონში და თანმდევ სამართლებრივ აქტებში. ყველა სხვა კომენტარი, რომლებიც ეხებოდა სტრატეგიას ან მის სამოქმედო გეგმას, ასევე მათთან დაკავშირებით გარკვეული საკითხების დაზუსტებას, გათვალისწინებულ იქნა სტრატეგიის საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე, მაგალითად სტრატეგიის ტექსტში დაკონკრეტდა საკითხები ენერგეტიკის გენერაციის ობიექტებთან მიმართებით; სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონით განსაზღვრული დამატებით 2 საკითხის შესახებ; ასევე დაზუსტდა გარკვეული საკითხები სიტუაციის ანალიზის ნაწილში. გამომდინარე იქედან, რომ დაინტერესებულ მხარეებთან დეტალურად იყო განხილული ყველა მნიშვნელოვანი და ძირეული საკითხი და უკვე გათვალისწინებული იყო საჯარო კონსულტაციებამდე, საჯარო კონსულტაციების პროცესში გამოთქმული და მოწოდებული მოსაზრებები და კომენტარები ძირითადად ეხებოდა საკითხების დაზუსტებას და არა შინაარსობრივად პრინციპულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ საჯარო კონსულტაციებში მონაწილე მხარეების მიერ პოზიტიურად შეფასდა სახელმწიფო საწარმოების რეფორმის სტრატეგია და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. მსოფლიო ბანკმა გამოთქვა მზაობა სახელმწიფო

კორპორაციების შესახებ კანონის შემუშავების პროცესში მხარდაჭერის შესახებ. მსოფლიო ბანკმა, როგორც ამ მიმართულებით დიდი საერთაშორისო ექსპერტიზის მქონე ორგანიზაციამ, აღნიშნა, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა საკითხი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები და მიზნები პასუხობს არსებულ გამოწვევებს და შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

დაინტერესებული მხარეების შენიშვნებისა და მოსაზრებებით გადამუშავებული სტრატეგიის პროექტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გაეგზავნა საერთაშორისო სავალუტო ფონდს დასადასტურებლად. სავალუტო ფონდის მიერ მოწონებულ იქნა სტრატეგიის პროექტი და სამოქმედო გეგმა და აღინიშნა, რომ დოკუმენტი შინაარსობრივად სრულად გამართულია, სრულად პასუხობს რეფორმის მიზანს და შესაბამისობაშია საუკეთესო პრაქტიკასთან.